დანართი

საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა

შესავალი

მოსახლეობის დაბერების საკითხი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული გადასვლა, რომელიც გამოიხატება მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებაში, მოსახლეობის დაბერებაში და რაოდენობის კლებაში, მზარდ გავლენას ახდენს ქვეყნისა და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

მოსახლეობის დაბერება საქართველოში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის წილი, რომლის ასაკი 65 და ზემოთაა, გაიზრდება 14%-დან (2015 წელი) 21%-მდე 2030 წლისათვის. პროგნოზების მიხედვით, საქართველოში დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, რომელიც 2010 წელს ქალებისთვის 78 წელი იყო, მამაკაცებისთვის კი – 71 წელი, 2030 წლისთვის ქალებისთვის 80 წლამდე გაიზრდება, ხოლო მამაკაცებისთვის – 73 წლამდე.

შემუშავების საფუძვლები და პროცესი

2016 წლის 27 მაისს პარლამენტის დადგენილებით (№5146-IIს) მიღებულ იქნა ,,საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“ (შემდგომში კონცეფცია). კონცეფცია ეყრდნობა მოსახლეობის ,,დაბერების საკითხის მეინსტრიმინგის გზამკვლევს'', რომელიც 2015 წელს შემუშავდა საქართველოს მთავრობის თხოვნით და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტექნიკური დახმარებით, დაბერების საკითხის შესახებ მადრიდის 2002 წლის საერთაშორისო სამოქმედო გეგმისა და მისი განხორციელების რეგიონალური სტრატეგიის პრინციპების გათვალისწინებით.

კონცეფციაში წარმოდგენილია სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მიზნები, ხოლო განსახორციელებელი რეკომენდაციები დეტალურად არის ასახული ზემოთ მითითებულ გზამკვლევში. სწორედ აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემული ხედვის განხორციელების მიზნით, შემუშავდა ,,საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა'', რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო პოლიტიკასა და პროგრამებში „აქტიური დაბერების“ მიდგომების აქტუალიზაციას.

დაბერების საკითხებთან დაკავშირებული წინამდებარე სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის 2015 წლის 23 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივით და მისი გადაწყვეტილების შედეგად, შეიქმნა მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფი მთავრობის, გაეროს, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო წრეებისა და ხანდაზმულთა ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA), გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას (UNECE) და აშშ-ის განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის პროექტს (GGI) ეთხოვა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

2015 წლის 4 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის დებულება, სამოქმედო გეგმის ჩარჩო და პროცესის სამუშაო გეგმა. სამუშაო პერიოდში (2015-2016 წლის აპრილი) გაიმართა მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის და ოთხი თემატური ქვეჯგუფის შეხვედრები და ორმხრივი კონსულტაციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია ყველა მონაწილე სამინისტროს წარმომადგენლებთან, დაბერების საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და მოწონებულია შემდგომი მსვლელობისათვის.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაბერების საკითხი „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს (საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის №5586-IIს დადგენილება). ზემოთმოხსენიებული დოკუმენტების ძირითადი პრიორიტეტები და მიზნები თანხვედრაშია ერთმანეთთან, რითაც უზრუნველყოფილია ერთიანი მიდგომა მოსახლეობასა და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

Formatted: Georgian

მონიტორინგი და შეფასება

,,საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ განხორციელების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. ამ გეგმით განსაზღვრულია გეგმის თითოეულ საქმიანობასთან მიმართებით ინდიკატორები და პასუხისმგებელი უწყებები.

გეგმის შესრულების შუალედური მიმოხილვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თაოსნობით ჩატარდება 2018 წელს, რომლის შედეგები იქნება გათვალისწინებული მომდევნო 2-წლიან გეგმაში.

ამასთანავე, რეგულარულად მომზადდება მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მოსახლეობის დაბერების საკითხზე მომუშავე სამუშაო ჯგუფისათვის, განსაკუთრებით – სამუშაო ჯგუფის წლიური შეხვედრებისათვის.

საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა

პრიორიტეტები და ამოცანები		საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 1: დაბერების მეინსტრიმინგი							
მიზანი 1: ხელშემწყობი გარემოსა და ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და მონაწილეობითი მიდგომის უზრუნველყოფა დაბერების მეინსტრიმინგისათვის.							
ამოცანა 1.1 გზამკვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და მიღება							
	1.1.1	ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და დამტკიცება ხანდაზმულ პირთა გაერთიანებების და ორგანიზაციების სამოქალაქო სექტორის და აკედემიური წრეების ჩართულობით	2017	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	UNFPA	დონორი ორგანიზაციის ეროვნული სამოქმედო პროგრამის ფარგლებში	გეგმა დამტკიცებულია
	1.1.2	დაბერების თემაზე მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის წევრების გაცნობიერების და ცოდნის ამაღლება დაბერებასთან დაკავშირებული პოლიტიკის პრინციპების შესახებ.	2017	საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	UNFPA	დონორი ორგანიზაციის ეროვნული სამოქმედო პროგრამის ფარგლებში	მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის სემინარი ჩატარებულია
ამოცანა 1.2 საკანონმდებლო ბაზის, პოლიტიკისა და პროგრამების გადახედვა მათში დაბერებაზე მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმის/იმპლემენტაციის რეგიონალური სტრატეგიის (MIPAA/RIS) პრინციპების ასახვისათვის.							
	1.2.1	მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს არსებული კანონების გადახედვას MIPAA/RIS პრინციპთან შესაბამისობის კუთხით	2018	საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი		ადმინისტრაციული რესურსი	მექანიზმები შემუშავებულია

	1.2.2	რეგიონული განვითარების გეგმებში დაბერების შესახებ სამოქმედო გეგმის პრინციპების განხორციელების ხელშეწყობა მუნიციპალურ დონეზე	2018	სამხარეო საკონსულტაციო საბჭო		ადმინისტრაციული რესურსი	რეგიონული განვითრების გეგმებში დაბერების შესახებ სამოქმედო გეგმის პრინციპები ასახულია

პრიორიტეტები და ამოცანები	**საქმიანობა**		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**დაფინანსების წყარო**	**ინდიკატორი**
პრიორიტეტი 2: ასაკოვანი მოქალაქეების საზოგადოებაში ინტეგრაცია							
მიზანი 2: ასაკოვან პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფისათვის ასაკობრივად შეუზღუდავი გარემოს შექმნა							
ამოცანა 2.1 საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება სატრანსპორტო კავშირის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.							
	2.1.1	,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებში და აქედან გამომდინარე, შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტებში ცვლილებების შეტანა და მათში ხანდაზმულთა საჭიროებების ასახვა ქვეყნის შიდა სამგზავრო საავტომობილო გადაყვანების ხელმისაწვდომობის (მარშრუტების, რეისების, გრაფიკების, ტარიფების და გადამზიდველების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და მათი დაცვის უზრუნველყოფა) მიზნით	2017-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობა	ადმინისტრაციული რესურსები	,,საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში და ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი მომზადებულია „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შემუშავდება ცვლილებები შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტებში
ამოცანა 2.2 ასაკოვანი პირების სოციალიზიის ხელშეწყობა მათ შორის მოხალისეობის გზით.							
	2.2.1	,,მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ხანდაზმული მოხალისეების როლის გამოკვეთა	2017-2018	საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და			კანონში შესაბამისი ჩანაწერი გაკეთებულია

				სოციალურ საკითხთა კომიტეტი			
	2.2.2	,,მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცნობადობის ამაღლება ხანდაზმულთა შორის	2017-2018	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	არასამთავრობო სექტორი	ადმინისტრაციული რესურსი/ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა	საინფორმაციო მასალები გავრცელებულია (ბანერი, ბუკლეტი, ბეჭდვითი და სოციალური მედია)
ამოცანა 2.3 კულტურულ ღონისძიებებში ხანდაზმულთა ჩართვის ხელშეწყობა							
	2.3.1	კულტურულ ღონისძიებებზე ხანდაზმული მოქალაქეების დასწრების შესაძლებლობების/ ხელმისაწვდომობის გაზრდა	2017-2018	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	პენსიონერთა კავშირი	ადმინისტრაციული რესურსი	ხანდაზმულთათვის გაწეული შეღავათების რაოდენობა
	2.3.2	სპორტულ ღონისძიებებში ხანდაზმულთა მონაწილეობის ჩართვის ხელშეწყობა	2017-2018	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	არასამთავრობო და სპორტული ორგანიზაციები, ფედერაცია, კავშირი, კომიტეტი და სხვა	ადმინისტრაციული რესურსი/სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა	ხანდაზმულთა მონაწილეობით მინიმუმ ერთი ღონისძიების გამართვა
	2.3.3	სპორტულ ფედერაციებთან მოლაპარაკებების წარმოება ხანდაზმულთათვის შეღავათიანი ბილეთებით უზრუნველსაყოფად სპორტულ ღონისძიებებზე დასწრების მიზნით	2017-2018	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	სპორტული ფედერაციები	ადმინისტრაციული რესურსი	მინიმუმ 1 ან 2 სპორტულ ფედერაციასთან შეთანხმების მიღწევა ხანდაზმულთათვის შეღავათიანი ბილეთებით უზრუნველყოფის თაობაზე

პრიორიტეტები და ამოცანები	**საქმიანობა**	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**დაფინანსების წყარო**	**ინდიკატორი**
პრიორიტეტი 3. ხანდაზმული ადამიანების აღქმა და მათი გამოსახვა და გაშუქება მედია საშუალებებით						
მიზანი 3. ხანდაზმული ადამიანების აღქმის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მათი ცხოვრების, პრობლემების, ინტერესებისა და ა.შ. გაშუქების გაუმჯობესება						
ამოცანა 3.1 საზოგადოების გაცნობიერების ხელშეწყობისთვის დაბერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კამპანიის წარმოება არსებული სტრეოტიპების თუ არასწორი შეხედულებების შესაცვლელად						

	3.1.1	საინფორმაციო საგანმანათლებლო საქმიანობების განხორციელება დაბერების საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით	2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	UNFPA	დონორული დახმარება	საინფორმაციო მასალები გავრცელებულია (ტელე- და რადიორეკლამა, ბანერი, ბუკლეტი, ბეჭდვითი და სოციალური მედია)

პრიორიტეტები და ამოცანები	**საქმიანობა**		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**დაფინანსების წყარო**	**ინდიკატორი**
პრიორიტეტი 4. სოციალური დაცვა							
მიზანი 4 : ხანდაზმულთათვის სათანადო სოციალური დაცვის უზრუნველყოფა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების შედეგების გათვალისწინებით							
ამოცანა 4.1 საპენსიო ასაკის პირების ძირითადი შემოსავლით უზრუნველყოფა; საპენსიო რეფორმა და გაცნობიერების ამაღლება საპენსიო სისტემის რეფორმის შესახებ							
	4.1.1	საპენსიო რეფორმის შემუშავება	2017-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	World Bank, ADB, USAID (G4G-ის პროექტი). საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	ადმინისტრაციული რესურსები დონორების დახმარებები	შესაბამისი საკანონმდებლო აქტები შემუშავებულია
ამოცანა 4.2 ხანდაზმული პირებისთვის სოციალური დაცვის მომსახურებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება							

	4.2.1	ადგილობრივი და სახელმწიფო პროგრამების თაობაზე, შინაარსობრივი და ვიზუალური დეტალების შეთანხმების შემდეგ, მზა საინფორმაციო მასალის განთავსება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ -იუსტიციის სახლის და საზოგადობრივი ცენტრების სტენდებზე და სხვ. საშუალებით	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, სსიპ – იუსტიციის სახლი, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები	ადმინისტრაციული რესურსები	საინფორმაციო მასალები შექმნილია და გავრცელებულია (ტელე- და რადიორეკლამა, ბანერი, ბუკლეტი, ბეჭდვითი და სოციალური მედია) კომუნიკაციის სტრატეგია შემუშავებულია
ამოცანა 4.3 ხანდაზმული მოქალაქეებისათვის სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა ზრუნვისა და მხარდაჭერისთვის, მათ შორის ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომის საფუძველზე ინტეგრირებული ზრუნვის მოდელების განვითარებით							
	4.3.1	შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელიდან სოციალურ მოდელზე გადასვლა	2018 (გაგრ-ძელ-დება 2019 წელ-საც)	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსები, UNICEF, USAID	სოციალური მოდელი პილოტირებულია და საკანონმდებლო აქტები მომზადებულია
	4.3.2	ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული სათემო სერვისების განვითარება (24-საათიანი) და შესაბამისი სტანდარტების შემუშავება	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო სექტორი	ადმინისტრაციული რესურსები	ხანდაზმულთა საჭიროებებზე მორგებული სადღეღამისო დაწესებულებები და დღის ცენტრები ფუნქციონირებს; ბენეფიციართა რაოდენობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა დაცულია; სტანდარტები შემუშავებულია

	4.3.3	შინ მოვლის პროგრამის შემუშავება	2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	არასამთავრობო სექტორი, მუნიციპალიტეტები	ადმინისტრაციული რესურსები და დონორების დახმარება	შინ მოვლის პროგრამა შემუშავებულია და საპილოტე მუნიციპალურ ბიუჯეტებში გათვალისწინებულია შესაბამისი ასიგნებები
	4.3.4	ხანდაზმულთა სერვისების ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსები და დონორების დახმარება	მონიტორინგის მექანიზმები დამტკიცებულია და სტანდარტები შეცვლილია
	4.3.5	საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარებით და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, დაბერების საკითხებზე სოციალური მუშაკების როლის კონცეფციის შემუშავება	2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალურ მუშაკთა ასოციაცია	ადმინისტრაციული რესურსი	კონცეფცია შემუშავებულია
	4.3.6	ხანდაზმული პირების სერვისების მიწოდებაში ახალგაზრდა მოხალისეების ჩართვის ხელშეწყობა		საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	მუნიციპალიტეტები	ადმინისტრაციული რესურსი, მუნიციპალიტეტები რესურსი/ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამით	მოხალისეები ხანდაზმულთა სერვისებში არიან ჩართულები

პრიორიტეტები და ამოცანები	**საქმიანობა**	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**დაფინანსების წყარო**	**ინდიკატორი**	**შესრულება**
პრიორიტეტი 5. შრომა და დასაქმება							
მიზანი: 5 ხანდაზმულთა შრომითი პოტენციალის განვითარებისა და გამოყენების ხელშეწყობა							
ამოცანა 5.1 ქვეყნის აგროსამრეწველო სექტორში ხანდაზმულთა მონაწილეობის ხელშეწყობა და მეწარმეობის განვითარება							

	5.1.1	ხანდაზმულთა ინფორმირებულობის გაზრდა სამთავრობო პროგრამებსა და მათში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ	2017-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და მის სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში, სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	ადმინისტრაციული რესურსი მსოფლიო ბანკი	საინფორმაციო მასალები გავრცელებულია (ტელე- და რადიორეკლამა, ბანერი, ბუკლეტი, ბეჭდვითი და სოციალური მედია)	თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში გაიმართა საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული საინფორმაციო დღეები საქართველოს მასშტაბით 8 რეგიონში
	5.1.2	ინოვაციების ცენტრების მეშვეობით მეწარმული (entrepreneurial) უნარ-ჩვევების განვითარების ტრენინგების ჩატარება და ტრენინგებში ხანდაზმულ მოქალაქეთა ჩართვა	2017-2018	სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	მსოფლიო ბანკი	~~ადმინისტრაციული რესურსი~~ IBRD	ტრენინგის საერთო მონაწილეთა შორის არიან ხანდაზმული მოქალაქეები	37 მუნიციპალიტეტში ჩატარებული ტრენინგები ციფრულ წიგნიერებაში და ელექტრონულ ბიზნესში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის
	5.1.3	ბიზნესკონსულტირების ტერიტორიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის	2017-2018	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და მის სისტემაში		სახელმწიფო ბიუჯეტი	საკონსულტაციო პროგრამებში ჩართული არიან ხანდაზმული მოქალაქეები	

				შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში			
	5.1.4	ხანდაზმულთა დასაქმების შესაძლებლობების შეფასება შრომის ბაზრის კვლევების საფუძველზე	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	*სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის, შრომის ბაზარზე ჩართულობის და დასაქმების საშუალებების, შესაძლებლობების ანგარიში მომზადებულია*
	5.1.5	მოქნილი სამუშაო რეჟიმების დანერგვის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება	2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	მოქნილი სამუშაო რეჟიმების დანერგვის მიზნით წინადადებები შემუშავებულია
	5.1.6	ხანდაზმულთა პროფორიენტაციისა და პროფესიული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი სერვისების მიწოდება დასაქმების ცენტრების საშუალებით	2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ადმინისტრაციული რესურსი	პროფესიული განათლების პროგრამების საშუალებით ხდება აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფებისათვის მომსახურების მიწოდება.

	5.1.7	დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის საინფორმაციო სისტემის Worknet.gov.ge ხელმისაწვდომობის გაზრდა ხანდაზმულთათვის	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	სამიზნე ასაკობრივი ჯგუფის ინფორმირებულობის საშულებები (მიზნობრივი ბანერები, ბუკლეტები, მასმედიის საშუალებების გამოყენება და სხვ) შექმნილია და გავრცელებულია
	5.1.8	ხანდაზმული კვალიფიციური კადრების დასაქმების შესაძლებლობების ამაღლება მათი ჩართვით პროგრამაში "ასწავლე საქართველოსთვის"	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	პროგრამაში "ასწავლე საქართველოსთვის" დასაქმებული ხანდაზმული კადრების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 5%-ით
	5.1.9	კვალიფიციური ხანდაზმული კადრების დასაქმების შესაძლებლობების ამაღლება პროგრამის "ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში, (სამცხე ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების მიზნით)	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამაში დასაქმებული ხანდაზმული კადრების რაოდენობა წლიურად იზრდება 5%-ით
	5.1.10	პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ფორმირება და	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულია ხანდაზმული პროფესიონალები

		მასში ხანდაზმული მოქალაქეების ჩართვის გათვალისწინება					

პრიორიტეტები და ამოცანები		საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 6.: სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე.							
მიზანი 6.: მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების უზრუნველყოფა და განათლების სისტემის ადაპტირება ცვალებადი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაბამისად							
ამოცანა 6.1. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების სტრატეგიის შემუშავება და განვითარება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად							
	6.1.1	მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების სტრატეგიის შემუშავება და მიღება	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსები	სტრატეგია შემუშავებული და დამტკიცებულია
ამოცანა 6.2. ხანდაზმული მასწავლებლების უწყვეტი განათლების ხელშეწყობა და კარიერული პერსპექტივების განვითარება							
	6.2.1	მთელი ცხოვრების მანძილზე პედაგოგების უწყვეტი განათლების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსები	შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგია
	6.2.2	საინფორმაციო-საგანმანათლებლო, მათ შორის ინტერნეტგამოცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსები	ხანდაზმულ პირთა რაოდენობა, რომელთაც ჰქონდათ წვდომა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურებზე

ამოცანა 6.3 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა მთელი ცხოვრების მანძილზე							
	6.3.1	არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის სრულყოფა და განვითარება და მათ შორის ხანდაზმული პირების საჭიროებების გათვალისწინება	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		ადმინისტრაციული რესურსები	დამტკიცებული და ამოქმედებულია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების განახლებული წესი
ამოცანა 6.4 განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა							
	6.4.1	შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა (მათში ხანდაზმულთა ჩართვის შესაძლებლობის შექმნა)	2017-2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული პროგრამების განმახროციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები	ადმინისტრაციული რესურსები	პროგრამები დანერგილია; მათში მონაწილეობენ ხანდაზმული მოქალაქეები
	6.4.2	პროფესიული სტანდარტების განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად	2017	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი		ადმინისტრაციული რესურსები	დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობით შემუშავებული/ განახლებული პროფესიული სტანდარტების რაოდენობა
	6.4.3	პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებები (თემატური გამოფენები, პროფესიული განათლების ფესტივალი, ეროვნული კონკურსები და სხვა)	2017-2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული პროგრამების განმახროციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები	ადმინისტრაციული რესურსები	ორგანიზებულია წელიწადში მინიმუმ 2 ღონისძიება, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე

პრიორიტეტები და ამოცანები		საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 7: ჯანდაცვა და კეთილდღეობა							
მიზანი 7: ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვით უზრუნველყოფის გაუმჯობესება							
ამოცანა: 7.1 მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება აქტიური და ჯანსაღი დაბერების (Active and Healthy Ageing) შესახებ, პრევენციისა და სკრინინგის პროგრამების პოპულარიზაცია							
	7.1.1	მოსახლეობის განათლების კამპანიების წარმოება კონკრეტული რჩევებით ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ (კვება, ფიზიკური აქტივობა, თამბაქო, ალკოჰოლი, დაავადებათა სკრინინგის პროგრამები და სხვა), რომელიც გავრცელდება ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების დახმარებით.	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	არასამთავრობო სექტორი	სახელმწიფო ბიუჯეტი	დაბეჭდილია 1000 ბუკლეტი, მომზადებულია 2 ტელე- და რადიორეკლამა, ჩატარებულია სემინარები და ტრენინგები
ამოცანა 7.2 ხანდაზმულთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ხარისხიან ჯანდაცვის და ზრუნვის სერვისებზე, რომელიც ორიენტირებული იქნება ხანდაზმულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე							
	7.2.1	საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით გრძელვადიანი ზრუნვის (Long-term Care) კონცეფციისა და განხორციელების სტრატეგიის შემუშავება	2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	არასამთავრობო სექტორი	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება (UNFPA)	შემუშავებულია კონცეფცია და სტრატეგია
ამოცანა 7.3 ჯანდაცვის პერსონალის ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ასაკოვანი პაციენტების მართვის შესახებ							

	7.3.1	სოციალური გერონტოლოგიისა და გერიატრიის სავალდებულო კურსის ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის სასწავლო დაწესებულებების სააკრედიტაციო მოთხოვნებში ინტეგრირება	2018	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	სამედიცინო ასოციაციები	ადმინისტრაციული რესურსი	სოციალური გერონტოლოგიის და გერიატრიის სავალდებულო კურსი ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის სასწავლო დაწესებულებების სააკრედიტაციო მოთხოვნებში ინტეგრირებულია

პრიორიტეტები და ამოცანები	**საქმიანობა**	**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**დაფინანსების წყარო**	**ინდიკატორი**
პრიორიტეტი 8.: გენდერული მიდგომის მეინსტრიმინგი						
მიზანი 8.: გენდერული მიდგომის მეინსტრიმინგის უზრუნველყოფა დაბერების პროცესში მყოფ საზოგადოებაში.						
ამოცანა 8.1 „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების გაძლიერება ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის გაძლიერებით						
	8.1.1	შესაბამისი უწყებების მიერ ძალადობის იდენტიფიცირებასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პროფესიონალებისათვის სამუშაო სამოქმედო ინსტრუქციების შექმნა და პილოტირება (ექიმები, პოლიციელები, სოციალური მუშაკები და ა.შ)	2017-2018	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	ადმინისტრაციული რესურსი და დონორული დახმარება (SIDA, UN Women, UNFPA, USAID)	შემუშავებული სამოქმედო ინსტრუქციები
	8.1.2	ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის, ხანდაზმულთა მიმართ პრევენციული მედიაკამპანიის წარმოება გაცნობიერების ამაღლების მიზნით	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი და დონორული დახმარება (Sida, UN Women, UNFPA, USAID)	საინფორმაციო მასალების რაოდენობა (ტელე და რადიორეკლამა, ბანერი, ბუკლეტი, ბეჭდვითი და სოციალური მედია)

პრიორიტეტები და ამოცანები		საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 9: თაობათაშორისი სოლიდარობა							
მიზანი: 9 თაობათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობა							
ამოცანა 9.1 საზოგადოებრივი კამპანიის წარმართვა თაობათაშორისი სოლიდარობის წახალისებისათვის							
	9.1.1	სპეციალური პროგრამის ფარგლებში მოზარდების რეგულარული ვიზიტების უზრუნველყოფა ხანდაზმულთა დაწესებულებებში	2017-2018	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში– სამინისტრო) მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი		ადმინისტრაციული რესურსი	მოზარდების ხანდაზმულთა დაწესებულებაში ვიზიტები განხორციელებულია

პრიორიტეტები და ამოცანები		საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 10. მიგრაცია							
მიზანი 10. მიგრაციის გამოწვევების ადეკვატური პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის, ხანდაზმულებთან მიმართებით							
ამოცანა 10.1 სარეინტეგრაციო პროგრამების მდგრადი დაფინანსება და მათი შესაძლებლობების გაზრდა საჭიროებების შეფასებასა და პროგნოზებზე დაყრდნობით, მათში ხანდაზმული მიგრანტების საჭიროებების გათვალისწინება							
	10.1.1	საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო მხარდაჭერის პროგრამების შედეგების შეფასება და საჭიროებების დადგენა	2017	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	IOM	ადმინისტრაციული რესურსები (საქმიანობაში ჩართულ თანამშრომელთა ანაზღაურება, მივლინების ხარჯები)	1) განხორციელებული კვლევა (წელიწადში 1); 2) ათვისებულია ბიუჯეტი შესაბამისი რეგიონებისა და სარეინტეგრაციო დახმარების სერვისების მიხედვით

	10.1.2	მობილურობის ცენტრების (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. თელავი) ფუნქციონირების უზრუნველყოფა	**2017**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**IOM**	ადმინისტრაციული რესურსები, EU (ევროკავშირის პროგრამა „მეტი მეტისთვის“)	ბენეფიციართა საერთო რაოდენობაში ხანდაზმულთა პროცენტული წილი
	10.1.3	სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელება	**2017-2018**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	**IOM** **ICMPD** **DRC**	დონორების რესურსები	1) მინისტრის ბრძანება საგრანტო პროგრამის დამტკიცების შესახებ (წელიწადში 1); სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული საგრანტო კომისიის მიერ დამტკიცებული საგრანტო პირობები (წელიწადში 1); 2) საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები (წელიწადში მინ. 1); 3) სარეინტეგრაციო პროგრამების ბენეფიციართა შორის ხანდაზმულთა პროცენტული წილი
	10.1.4	სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამების რეგიონული დაფარვის გაზრდა	**2017**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი/(საქმიანობაში ჩართულ თანამშრომელთა ანაზღაურება, მივლინების ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტი	სარეინტეგრაციო პროგრამების დაფარვა გაიზარდა მინიმუმ 1 რეგიონით;
ამოცანა 10.2 საზღვარგარეთ კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი დაბრუნებული მიგრანტებისთვის სარეინტეგრაციო პროგრამების დახვეწა და გაფართოება.							

	10.2.1	სარეინტეგრაციო პროგრამების ფარგლებში რეფერალური მექანიზმის განვითარება	**2017-2018**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	ადმინისტრაციული რესურსი/(საქმიანობაში ჩართული თანამშრომელთა ანაზღაურება)	გადამისამართებულ ბენეფიციართა რაოდენობა (წელიწადში მინ. 20);
	10.2.2	ტრენინგების ჩატარება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლებისთვის	**2017-2018**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი/(საქმიანობაში ჩართულ თანამშრომელთა ანაზღაურება)	1) ტრენინგი (წელიწადში მინ 3); გადამზადებული თანამშრომელი (მინ. ერთი თანამშრომელი თითო ტერიტორიულ ერთეულში); 2) კონსულტაცია (წელიწადში მინ. 50)
ამოცანა 10.3 საზღვარგარეთ კანონიერი საფუძვლით მყოფი საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის სარეინტეგრაციო პროგრამის შემუშავება.							
	10.3.1	საზღვარგარეთ კანონიერი საფუძვლით მყოფი საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო საჭიროებების კვლევა	**2017**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი/(საქმიანობაში ჩართული თანამშრომელთა ანაზღაურება)	1) კვლევის ანგარიში (1); კვლევის რეკომენდაციები (მინ. 5).

	10.3.2	უწყებათაშორისი რეფერალური მექანიზმის განვითარება საზღვარგარეთ კანონიერი საფუძვლით მყოფი დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციისთვის	**2017-2018**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;	ადმინისტრაციული რესურსი/(საქმიანობაში ჩართულ თანამშრომელთა ანაზღაურება)	1) ანგარიში სხვადასხვა პროგრამების შესახებ (წელიწადში 1); 2) გადამისამართებული ბენეფიციარი (წელიწადში მინ.10);
	10.3.3.	საზღვარგარეთ მყოფი პოტენციური ან ყოფილი ემიგრანტების/რემიგრანტების კვლევა -	**2017–2018**	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	ადმინისტრაციული რესურსი	კითხვარების მომზადება, გავრცელება და დამუშავება
ამოცანა 10.4 პროფესიული გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის							
	10.4.1	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ჩართვის უზრუნველყოფა	**2017-2018**	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სახელმწიფო ბიუჯეტი	*პროფესიული მომზადება გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სუბიექტების განსაზღვრა მთავრობის დადგენილებით (წელიწადში 1);* *2) პროგრამის ანგარიში (წელიწადში 1)*

	10.4.2	დაბრუნებული ხანდაზმული მიგრანტების ინფორმირება პროფესიული სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ	2017-2018	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	ხანდაზმულთა წილი საერთო ბენეფიციართა რაოდენობაში
	10.4.3	სამშობლოში დაბრუნების მსურველი ემიგრანტების ინფორმირება არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ, მათ შორის, პროფესიული სწავლების და დასაქმების პროგრამებზე ინფორმაციის პერიოდული მიწოდება	2017-2018	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი, დონორების რესურსები	დაბრუნებული ემიგრანტების რაოდენობა, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია
ამოცანა 10.5 საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და პროფესიული უნარჩვევების შეფასება და აღიარება მათი წარმატებული რეინტეგრაციისთვის							
	10.5.1	არაფორმალური განათლების აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შემდეგ აღნიშნული სერვისის რეფერალურ მექანიზმში დამატება და მომავალი სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინება	**2017-2018**	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	ადმინისტრაციული რესურსი	გადამისამართებული ბენეფიციარი (მინ. 5); ბენეფიციართა მონაცემთა ბაზაში არაფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ასახულია (მინ. 5);
ამოცანა 10.6 დევნილთა ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულთა, საჭიროებების შემდგომი კვლევა, დევნილთათვის მიზნობრივი პროგრამების შესაქმნელად.							
	10.6.1	ხანდაზმულ დევნილთათვის ყველაზე გადაუდებელი საჭიროებების შესაბამისი მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება	2017-2018	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	DRC	ადმინისტრაციული რესურსები	მხარდამჭერი პროგრამების რაოდენობა

პრიორიტეტები და ამოცანები	საქმიანობა		ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 11: საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაცია							
მიზანი 11. საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის გაძლიერება							
ამოცანა 11.1 დაბერების საერთაშორისო პროცესებში ქვეყნის ინტეგრაციის ხელშეწყობის შესახებ UNECE-ის სამუშაო ჯგუფში აქტიური მონაწილეობის გაგრძელება, გზამკვლევის იმპლემენტაციის შესახებ რეგულარული ინფორმაციის მიწოდება							
	11.1.1	დაბერების შესახებ UNECE-ის სამუშაო ჯგუფში აქტიური მონაწილეობის გაგრძელება	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		ადმინისტრაციული რესურსი	მულტისექტორული სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა
	11.1.2	პერიოდული ანგარიშის მომზადება MIPAA/RIS-ს განხორციელების შესაფასებლად	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფი	ადმინისტრაციული რესურსი	ანგარიში შემუშავებულია და მიწოდებულია UNECE-სთვის.
	11.1.3	დონორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობების გამოვლენა დაბერების შესახებ გზამკვლევის განხორციელებაში მხარდაჭერისათვის	2017-2018	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მრავალსექტორული სამუშაო ჯგუფი	ადმინისტრაციული რესურსი	დონორების მიერ დაფინანსებულია პროგრამები, სადაც ინტეგრირებულია დაბერების საკითხი

პრიორიტეტები და ამოცანები	საქმიანობა	ვადა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი ორგანიზაცია	დაფინანსების წყარო	ინდიკატორი
პრიორიტეტი 12. კვლევა და მონაცემთა შეგროვება						

მიზანი 12. კვლევის, მონაცემთა შეგროვებისა და ტენდენციების ანალიზის უზრუნველყოფა მოსახლეობის დაბერების შესახებ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრისათვის							
ამოცანა 12.1. დაბერების პროცესის მონიტორინგისათვის ხარისხიან, ასაკობრივად ჩაშლილ, სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის ზრდა							
	12.1.1	საქართველოში სტატისტიკის განვითარების 2011-2014 ეროვნული სტრატეგიის გადახედვა და წარმოებული მოსახლეობის დაბერების მაჩვენებლების ევროკავშირის წევრი ქვეყნების სტატსამსახურების მიერ დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მოყვანა	2017-2018	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		ადმინისტრაციული რესურსი	საქართველოში სტატისტიკის განვითარების 2011-2014 ეროვნული სტრატეგია განახლებულია
	12.1.2	მოსახლეობის დაბერების პროცესების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა	2017-2018	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		ადმინისტრაციული რესურსი	მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების რაოდენობა სქესის, ასაკის მიხედვით სოფლად და ქალაქად შემუშავებულია
	12.1.3	დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება, კვარტალური მაჩვენებლების წარმოება, ასევე შრომის სტატისტიკის ინდიკატორების სრულყოფის/გაფართოების მიზნით დაგეგმილია დამოუკიდებელი რეგულარული სრულმასშტაბიანი სამუშაო ძალის გამოკვლევის დანერგვა. (2017 წლიდან)	2017-2018	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		ადმინისტრაციული რესურსი	დასაქმების, უმუშევრობის და შრომის სტატისტიკის ინდიკატორების რაოდენობები გაზრდილია
ამოცანა 12.2 2014 წლის აღწერის შედეგების შესაბამისად დაბერების მეინსტრიმინგის გზამკვლევის მიგნებების ხელახალი შეფასება, საჭიროების შემთხვევაში განახლება							

	12.2.1	2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების სიღრმისეული ანალიზი დაბერების საკითხზე და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	2017-2018	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	UNFPA	დონორების რესურსები	მომზადებულია სიღმისეული ანალიზი მოსახლეობის დაბერების საკითხებზე და მასზე დაფუძნებული შესაბამისი რეკომენდაციები

პრიორიტეტები და ამოცანები	**საქმიანობა**		**ვადა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი ორგანიზაცია**	**დაფინანსების წყარო**	**ინდიკატორი**
პრიორიტეტი 13. მონიტორინგი და შეფასება							
მიზანი 13. დაბერებასთან დაკავშირებული პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების უზრუნველყოფა							
ამოცანა 13.1 გზამკვლევის რეკომენდაციების განხორციელებისათვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ინდიკატორების მითითება თითოეულ აქტივობასთან მიმართებით							
	13.1.1	სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ინდიკატორების შემუშავება	2017	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი UNFPA	ადმინისტრაციული რესურსი, დონორული დახმარება	შემუშავებულია ინდიკატორები
	13.1.2	სამოქმედო გეგმის ანგარიშგების მექანიზმის შექმნა	2017	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მულტისექტორული სამუშაო ჯგუფი UNFPA	ადმინისტრაციული რესურსი, დონორული დახმარება	შემუშავებულია ანგარიშგების მექანიზმი